<u>თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი</u>

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი

<u>მენეჯმენტი და ადმინისტრირება</u>

სწავლების საბაკალავრო პროგრამა

პროგრამა დამტკიცებულია 2006 წელს.

განახლებული სახით რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ

სამსახურის ხელმძღვანელი /პროფ. დ. მჭედლიშვილი/

ოქმი №18, 18.06.2010 .

მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ

დეკანი /ასოც. პროფ. ი. შიოშვილი/

ოქმი №16, 23.06. 2010

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ

უნივერსიტეტის რექტორი /პროფ. გ. გოცირიძე/

ოქმი №24, 28.06. 2010

თელავი

2010

პროგრამის სახელწოდება - ***მენეჯმენტი და ადმინისტრირება***

Management and Administration

კათედრა - ***ეკონომიკის***

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური – ***ბაკალავრიატი***

პროგრამის ტიპი – ***აკადემიური***

პროგრამის ხელმძღვანელი: ***ასოც. პროფ. ია ჯიმშიტაშვილი***

სწავლების ენა – ***ქართული***

მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ***ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი***

მენეჯმენტში **(Bachelor of Business Administration in Management)**

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა კრდიტებით: პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, მათ შორის 120 კრედიტი გათვალისწინებულია ძირითად (Maijor) სპეციალობაზე, რომელშიც 10 კრედიტი გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის შესრულებაზე, 60 კრედიტი – დამატებით (Minor) სპეციალობაზე, 25 კრედიტი – დამხმარე საფაკულტეტო კურიკულუმზე, 20 კრედიტი – საუნივერსიტეტო-სავალდებულო კურსებზე, 15 კრედიტი – თავისუფალ-არჩევით საგნებზე უნივერსიტეტის ფარგლებში (იხ. სასწავლო გეგმა). ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, სააუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით მესამედს, ხოლო ორი მესამედი – დამოუკიდებელი მუშაობის წილად მოდის. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 თხუთმეტკვირიანი სემესტრი) და იგი ემყარება ცალკეულ საგნებს. სალექციო კურსები, როგორც წესი, 5 კრედიტიანია და გძელდება ერთი სასწავლო სემესტრის (15 კვირის) განმავლობაში, კვირაში 2 ან 3 სააუდიტორიო (ლექცია/სემინარი) საათით.

სწავლების ფორმატი: ლექცია, სემინარი, მოკლე წერა, ჯგუფური მუშაობა, ინდივიდუალური და ჯგუფური პრეზენტაციები, შუალედური წერები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სპეციალობის არჩევანი:

პროგრამაზე სტუდენტი დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში განისაზღვრება 8 სტუდენტით. მაქსიმალური – 30-ით. კონკურსის შემთხვევაში ჯგუფის დაკომპლექტებისას უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტს, ვისაც აქვს მაღალი შეფასება საგანში – „შესავალი კურსი ეკონომიკაში", რომელიც შეისწავლება I კურსის პირველ სემესტრში. ხოლო თანაბარი ქულების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება სტუდენტის მიერ I სემესტრში ჩაბარებული ყველა საგნის აკადემიური მოსწრება.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ბაკალავრის პროფესიული ცოდნით აღჭურვა და ისეთი უნარების განვითარება, რომელიც ბაკალავრს ეფექტური დაგეგმვისა და მართვის საშუალებას მისცემს. მმართველობითი, ორგანიზატორული, ეკონომიკური, საწარმოო, საფინანსო, მარკეტინგული, საინფორმაციო, ანალიტიკური, კვლევითი, ნოვატორული და სხვა სახის ადმინისტრაციულ-მარეგულირებელი საქმიანობის შესაძლებლობის ათვისება.

სწავლის შედეგი: საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით:

ცოდნა და გაცნობიერება:

-მართვის ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ორგანიზაციული და ადმინისტრაციული მეთოდების ცოდნა;

-პროფესიული პასუხისმგებლობის გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

-ორგანიზაციის მართვის პროცესისას წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირება და მისი გადაჭრისათვის შესაბამისი გადაწყვეტილების მოდელირება და მიღება;

-პროფესიულ ჯგუფებში არსებული კონფლიქტების საწყის ეტაპზე აღმოჩენა და მათი მართვა;

-ორგანიზაციაში შექმნილი სხვადასხვა სიტუაციის გამოკვლევა და ანალიზი;

-პროფესიული საქმიანობის უნარი სოციალური და ეთიკური ნორმების დაცვით.

დასკვნის გაკეთების უნარი:

-მმართველობითი პრობლემის გადასაწყვეტად შესაბამისი ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და გამოყენების უნარი.

კომუნიკაციის უნარი:

-სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან პროფესიონალურ საკითხებზე მშობლიურ და უხცო ენებზე კომუნიკაციის უნარი

-თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა და ახალი ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისების უნარი

სწავლის უნარი:

-არჩეულ მიმართულებაში სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის და სწავლის შემდგომ საფეხურზე დამოუკიდებლად გაგრძელების უნარი.

ღირებულებები: კურსდამთავრებული შეძლებს პროფესიული საქმიანობისას დაიცვას ეთიკური ნორმები და საკუთარი ცოდნა კეთილსინდისიერად გაუზიაროს კოლეგებს.

დასქმების სფერო: ნებისმიერ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

მინიმალურ ქულას წარმოადგენს 51

შეფასება ხორციელდება 2 კომპონენტის საფუძველზე, შუალედური შეფასება და საბოლოო გამოცდა.

შეფასების კრიტერიუმები მოცემულია სილაბუსების მიხედვით

91-100%	A	ფრიადი
81-90%	B	ძალიან კარგი
71-80%	C	კარგი

61-70%	D	საშუალო
51-60%	E	დამაკმაყოფილებელი
41-50%	FX	არადამაკმაყოფილებელი (რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40%	F	ჩაიჭრა (რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ შესაძლებელია სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ეკონომიკის კათედრის პროფესორ-თანამშრომელთა სალექციო კურსები და რიდერები, უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრი და ბიბლიოთეკა.

ადამიანური რესურსები:

1. პროფ. დიანა მჭედლიშვილი
2. ასოც. პროფ. ნანა რინკიაშვილი;
3. ასოც. პროფ. ანზორ ჯავახიშვილი;
4. ასოც. პროფ. მარი ზაქარიაშვილი;
5. ასოც. პროფ. ირმა შიოშვილი;
6. ასოც. პროფ. გივი სიბაშვილი;
7. ასოც. პროფ. ნანული ხიზანიშვილი;
8. მოწვეული პროფ. ლავრენტი ჩიბურდანიძე;
9. მოწვეული დოქტორი თამარ ავბეწვაშვილი;
10. მოწვეული მასწავლებელი მერი ბაზიერაშვილი;
11. დოქტორანტი მაია ალადაშვილი.

სასწავლო კურსის ანოტაციები:

აკადემიური წერა

სალექციო კურსის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ანალიზისა და შეფასების გამომუშავების უნარს და მის წერილობით გადმოცემას; საკვლევი პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებას; სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებას და ა.შ.

კურსის შედეგად სტუდენტები შეისწავლიან არგუმენტირებული ესეს, კრიტიკის, ანალიტიკური რეფერატისა და საბაკალავრო ნაშრომების შექმნის ტექნიკას. სტუდენტებს შეეძლებათ წერითი ნამუშევრები წარმოადგინონ საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვირებული აკადემიური წერის პრინციპების მიხედვით.

შესავალი კურსი საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლებში

სასწავლო დისციპლინის მიზანია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესწავლა-განზოგადება. სტუდენტებს მისცეს თანამედროვე ცოდნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პრინციპებზე და მეთოდებზე.

ეკონომიკური თეორია

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტთა აღჭურვა ეკონომიკური კანონებით, ხერხებით და მეთოდებით, რაც რეალურ საშუალებას მისცემს სტუდენტს განჭვრიტოს თანამედროვე ეკონომიკური სიტუაცია გააანალიზოს ეკონომიკური პრობლემები და პროცესები, გაერკვეს სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში და ჩამოუყალიბდეს სხვა მეცნიერებებთან ერთად გარკვეული მსოფლმხედველობა.

ეკონომიკის პრინციპები

წინამდებარე სალექციო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს გარკვეული ცოდნა მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე.

ფინანსების თეორია

ფინანსების თეორიის, როგორც სასწავლო დისციპლინის მიზანია სტუდენტს მისცეს ის აუცილებელი ცოდნა, რომელიც გამოადგებათ ფინანსური პოლიტიკის, ფინანსური ბაზრის, ფინანსური მექანიზმების არსის გაგებაში. სტუდენტს გამოუმუშავდეს ფულადი რესურსების მობილიზაციისა და ხარჯვის პროცესისადმი სისტემური მიდგომის ჩვევები.

მენეჯმენტის საფუძვლები

სალექციო კურსი, მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს კომპლექსური ინფორმაცია ორგანიზაციის დონეზე მმართველობითი საქმიანობის თეორიული საკითხების, მეცნიერების მეთოდების და პრინციპების, განვითარების, ორგანიზაციის და მისი გარემოს აგრეთვე მმართველობითი პროცესის დაგეგმარების შესახებ.

მენეჯმენტი

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს კომპლექსური ინფორმაცია ორგანიზაციის დონეზე მმართველობითი საქმიანობის თეორიული საკითხების, მმართველობითი პროცესის ორგანიზების, მოტივაციის და კონტროლის, ძალაუფლების და ლიდერობის შესახებ.

მარკეტინგის საფუძვლები

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს თეორიული ინფორმაცია მომხმარებელთა ქცევის, ბაზრის, მისი სეგმენტაციის, საქონლის სასიცოცხლო ციკლის, ოპტიმალური ფასწარმოქმნის, სტიმულირების მეთოდების შესახებ, ვინაიდან თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებში აუცილებელია ზემოთაღნიშნული საკითხების ცოდნა.

მარკეტინგი

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს კომპლექსური თეორიული ინფორმაცია მარკეტინგული სტიმულირების, მარკეტინგის მართვის, საერთაშორისო მარკეტინგის, ბრენდინგისა და ბენჩმარკინგის, ინტერნეტ-მარკეტინგის შესახებ.

ბიზნესის საფუძვლები

სასწავლო დისციპლინის მიზანია მსოფლიო გამოცდილების შესწავლა-განზოგადება, ეროვნული პირობებისა და თავისებურების გათვალისწინებით სტუდენტებს მისცეს თანამედროვე ცოდნა ბიზნესის ორგანიზება-მართვის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ.

ბიზნესის მართვა

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა ბიზნესის მართვის შესახებ. გამოუმუშაოს მათ მიმდინარე მოვლენების ანალიზის, ასევე მიღებული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში, პრაგმატული გამოყენების უნარ-ჩვევები.

ურთიერთობები საზოგადოებასთან (PR) მენეჯერთათვის

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს თეორიული ინფორმაცია თუ როგორ ჩამოყალიბდეს ორგანიზაციის ურთიერთობები საზოგადოებასთან, მასობრივი ინფორმაციების საშუალებებთან, მომხმარებლებთან, მუშაკებთან, პარტნიორებთან და ა.შ.

თაიმ-მენეჯმენტი

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს თეორიული ინფორმაცია თუ როგორ დაგეგმონ დრო პირად, გუნდურ და კორპორატიულ დონეებზე.

ბიზნეს ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება

სასწავლო დისციპლინა, მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს თეორიული ინფორმაცია პირადი იმიჯის, დიპლომატიური საქმიანობის, ეტიკეტის და მოლაპარაკებების თეორიულ-პრაქტიკული საკითხების შესახებ.

მართვა და ორგანიზაცია

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს ინფორმაცია აღნიშნული დისციპლინის კანონებისა და კანონზომიერებების, მეთოდების, პრინციპების და ფუნქციების, მართვის და ორგანიზების ფუნქციების, ორგანიზაციის პოზიტიური იმიჯის შექნის და ინფორმაციული უზრუნველყოფის შესახებ.

მართვა და ადმინისტრირება

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს თეორიული ინფორმაცია ადმინისტრაციული მართვის, ორგანიზაციული კულტურის, კონფლიქტების მათვის, საერთაშორისო მენეჯმენტის შესახებ.

ანტიკრიზისული მართვა

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს თეორიული ინფორმაცია ორგანიზაციებში კრიზისების, მათი დიაგნოსტიკის და მართვის შესახებ.

ადამიანური რესურსების მართვა

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს თეორიული ინფორმაცია ორგანიზაციის დონეზე კომუნიკაციური ქსელის ფორმირების, ამ ქსელის სათანადო პერსონალით შევსების, არსებული თანამშრომლობის და ურთიერთკავშირის რეგულირების შესახებ.

კორპორაციის ფინანსების მენეჯმენტი

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს თეორიული ინფორმაცია კორპორაციის ფინანსების დონეზე მმართველობითი საქმიანობის საკითხების, კორპორაციის ფინანსური დაგეგმვის და კონტროლის პრინციპების შესახებ.

ფინანსების მართვა

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს კომპლექსური ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსების დონეზე მმართველობითი საქმიანობის თეორიული საკითხების, საწარმოს ფინანსური დაგეგმვის და კონტროლის პრინციპების შესახებ.

სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს ცოდნა ბიზნეს-გარემოს განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ. ამ ფაქტორებიდან უმთავრესია სოციალ-დემოგრაფიული გარემოს, მაკროეკონომიკური და ბუნებრივი გარემოს, შრომის ბაზრის სტატისტიკა.

ეკონომიკური ინფორმატიკა

სასწავლო კურსის მიზანია გაარკვიოს სტუდენტი ინფორმაციის არსში, მის სტრუქტურაში, კლასიფიკაციასა და თვისებებში. სახელდობრ, ეკონომიკურ ინფორმაციაში, მისი დამუშავების პროცედურებში. ეკონომიკური ინფორმატიკის, როგორც ერთ-ერთი დარგის განვითარების პერსპექტივებში. საოფისე პროგრამათა ჯგუფის შესაძლებლობები ეკონომიკური დანიშნულების ამოცანის ამოხსნისას საქმის წარმოების პროცესში – მეწარმული საქმიანობა, კრედიტი, ფულის დაბანდება, მარტივი და რთული პროცენტი; დაგეგმილი თვიური გაყიდვა; ოპტიმალური დაგეგმვა, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა და ა.შ.

ბიზნეს ეთიკა

მიზანია სტუდენტებისთვის იმ პრინციპების გაცნობა, რომლებიც ხელს უწყობენ ორგანიზაციაში მუშაკთა შრომის მოტივაციის და ნაყოფიერების ამაღლებას. კურსი დაეხმარება სტუდენტს, იმის გაცნობიერებაში, რომ მენეჯერისათვის მთავარი არის არა მხოლოდ თანამშრომელთა მოტივები და მოთხოვნები, არამედ, სამართლიანობის პრინციპების დაცვა და უკონფლიქტო სიტუაციის შექმნა. რადგან ყველა ორგანიზაციაში არსებობს შინაგანი და გარეგანი კონფლიქტების საფრთხე (მიმწოდებლებთან, მომხმარებელთან, აქციონერებთან). ამდენად კურსის მიზანია დაეხმაროს მომავალ მენეჯერს - ჩასწვდეს კონფლიქტების ბუნებას და მათი გადაჭრის გზებს, ადამიანური ურთიერთობების როლს საქმიან ურთიერთობებში და ეთიკური ბიზნესის სოციალურ როლს.

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

სასწავლო კურსის მიზანია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის შესახებ ზოგადი თეორიული კონცეფციების შესწავლა. სალექციო კურსის მიზანია სტუდენტს გამოუმუშაოს სათანადო ცოდნა ბიზნესის განვითარებაზე, მართვის პროცესზე, მმართველობით სტილზე.

მიკროეკონომიკა

სასწავლო კურსის მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს გარკვეული ინფორმაცია მსოფლიოში აღიარებული ეკონომიკური მიმართულებების და სკოლების, ძველი და ახალი ეკონომიკური იდეების სინთეზის საფუძველზე შექმნილ თეორიებზე.

მაკროეკონომიკა

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს ინფორმაცია ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობის, მისი კანონების, კანონზომიერებების შესახებ დაეხმაროს სტუდენტებს აითვისონ თეორიული საკითხები.

ეკონომიკსი

სასწავლო კურსი წარმოადგენს ეკონომიკურ მეცნიერებათა სინთეზს, რომელიც შეისწავლის ბიზნესის კანონებს, მათი რეალიზაციის მექანიზმს, ეკონომიკურ პოლიტიკას და ა.შ. მისი ძირითადი მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს ეკონომიკის საფუძვლიან შესწავლაში, რაც მომავალ სპეციალისტებს შესაძლებლობას მისცემს მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკულ საქმიანობაში.

ტურიზმის მენეჯმენტის საფუძვლები

ტურისტული ბიზნესი შედის მსოფლიო ეკონომიკის სამი უმსხვილესი საექსპორტო დარგის რიცხვში ნავთობმოპოვების, მრეწველობისა და ავტომობილმშენებლობის შემდეგ. საქართველოს პირობებში, რომელიც გამორჩეულია მსოფლიოში უნიკალური ტურისტული პოტენციალითა და მრავალფეროვნებით, ტურისტული ბიზნესი ამ მხრივ იკავებს პირველ ადგილს. აქედან გამომდინარე აღნიშნული საგნის შესწავლა სტუდენტებს დაეხმარება მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკულ საქმიანობაში.

ფირმის მართვა

სალექციო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს თეორიული ინფორმაცია ორგანიზაციის (ფირმის) მმართველობითი საქმიანობის თეორიული საკითხების, საწარმოში მმართველობითი პროცესის დაგეგმარების, ორგანიზების, მოტივაციის და კონტროლის შესახებ.

ბაკალვრიატის საგანმანათლებლო პროგრამა: მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სასწავლო გეგმა

№	საგნის დასახელება	სულ კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება სასწავლო წლებისა და სემესტრების მიხედვით								სულ სათები	სათები			
			Iკურსი		IIკურსი		IIIკურსი		IVკურსი			მათ შორის			
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		საკონტაქტო	ლექცია	სემინარი	დამოუკიდებელი
1	უცხო ენა	15	**5**	5	**5**						375	90	45	45	285
2	აკადემიური წერა	5					**5**				125	30	15	15	95
3	შესავალი კურსი ეკონომიკაში	5	**5**								125	30	15	15	95
4	შესავალი კურსი მათემატიკაში	5	**5**								125	30	15	15	95
5	შესავალი კურსი ჟურნალისტიკაში	5	**5**								125	30	15	15	95
6	შესავალი კურსი პოლიტოლოგიაში	5	**5**								125	30	15	15	95

7	შესავალი კურსი სოციალურ ფილოსოფიაში														
8	შესავალი კურსი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლებში	5	**5**								125	30	15	15	95
9	ეკონომიკური თეორია	5		5							125	30	15	15	95
10	მათემატიკა ეკონომისტებისათვის	5		5							125	30	15	15	95
11	ფინანსების თეორია	5		5							125	30	15	15	95
12	სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის	5		5							125	30	15	15	95
13	ეკონომიკური ინფორმატიკა														
14	ეკონომიკის პრინციპები	5			5						125	30	15	15	95
15	მენეჯმენტის საფუძვლები	5			5						125	30	15	15	95
16	მარკეტინგის საფუძვლები	5			5						125	30	15	15	95
17	ბიზნესის საფუძვლები	5			5						125	30	15	15	95
18	მენეჯმენტი	5				5					125	30	15	15	95
19	მარკეტინგი	5				5					125	30	15	15	95

20	ბიზნესის ადმინისტრირება	5				5					125	30	15	15	95
21	ურთიერთობები საზოგადოებასთან (PR) მენეჯერთათვის	5				5					125	30	15	15	95
22	თაიმ-მენეჯმენტი	5					5				125	30	15	15	95
23 24	ბიზნეს-ეთიკა საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	5					5				125	30	15	15	95
25 26	ტურიზმის მენეჯმენტი ფირმის მართვა	5					5				125	30	15	15	95
27	ანტიკრიზისული მართვა	5						5			125	30	15	15	95
28	ადამიანური რესურსების მართვა	5						5			125	30	15	15	95
29 30 31	მიკროეკონომიკა მაკროეკონომიკა ეკონომიქსი	5						5			125	30	15	15	95
32	მართვა და ორგანიზაცია	5							5		125	30	15	15	95
33	ბიზნეს ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება								5		125	30	15	15	95

34	კორპორაციის ფინანსების მენეჯმენტი	5							5		125	30	15	15	95
35	ფინანსური მენეჯმენტი														
36	მართვა და ადმინისტრირება	5								5	125	30	15	15	95
	თავისუფალი კრედიტები						**5**	**5**	**5**		375	90	45	45	285
	minor				10	10	10	10	10	10	1500	360	180	180	1140
	საბაკალავრო ნაშრომი	**10**								10	250	10			240
სულ		**240**	**30**	**25**	**35**	**30**	**35**	**30**	**30**	**25**	**6000**	**1380**	**690**	**690**	**4620**

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა: ”მენეჯმენტისა და ადმინისტრირების“ სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი

„მენეჯმენტი და ადმინისტრირება“ ძირითადი სპეციალობა ბაკალავრიატი

№	კურსის დასახელება	კოდი	სემესტრი	კრედიტების რაოდენობა	სტატუსი	პრერეკვი-ზიტები	ლექტორი
1.	ეკონომიკური თეორია	S.1E.01	II	5	სავალდ.	–––	ასოც. პროფ. ა. ჯავახიშვილი
2.	მათემატიკა ეკონომისტებისათვის		II	5	სავალდ.	–––	პროფ.დ. მჭედლიშვილი
3.	ფინანსების თეორია	S.1.E.03	II	5	სავალდ.	–––	ასოც. პროფ. ნ. რინკიაშვილი
4.	სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის	S.1.E.19	II	5	სავალდ. -არჩ.	–––	ასოც. პროფ. ნ. ხიზანიშვილი
5.	ეკონომიკური ინფორმატიკა		II	5	სავალდ. -არჩ.	–––	ასოც. პროფ. მ. ზაქარიაშვილი
6.	ეკონომიკის პრინციპები	S.1.E.02	III	5	სავალდ.	ეკონომიკის თეორია	ასოც. პროფ. ნ. რინკიაშვილი
7.	მენეჯმენტის საფუძვლები	S.1.E.04	III	5	სავალდ.	ეკონომიკის პრინციპები	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი
8.	მარკეტინგის საფუძვლები	S.1.E.06	III	5	სავალდ.	ეკონომიკის პრინციპები	ასოც. პროფ. ნ. ხიზანიშვილი
9.	ბიზნესის საფუძვლები	S.1.E.08	III	5	სავალდ.	ეკონომიკის პრინციპები	ასოც. პროფ. ნ. რინკიაშვილი

№	კურსის დასახელება	კოდი	სემესტრი	კრედიტების რაოდენობა	სტატუსი	პრერეკვი-ზიტები	ლექტორი
10.	მენეჯმენტი	S.1.E.05	IV	5	სავალდ.	მენეჯმენტის საფუძვლები	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი
11.	მარკეტინგი	S.1.E.07	IV	5	სავალდ.	მარკეტინგის საფუძვლები	ასოც. პროფ. ნ. ხიზანიშვილი
12.	ბიზნესის ადმინისტრირება	S.1.E.09	IV	5	სავალდ.	ბიზნესის საფუძვლები	ასოც. პროფ. ნ. რინკიაშვილი
13.	ურთიერთობები საზოგადოებასთან მენეჯერთათვის (PR)	S.1.E.10	IV	5	სავალდ.	მენეჯმენტი	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი
14.	თაიმ-მენეჯმენტი	S.1.E.11	V	5	სავალდ.	მენეჯმენტი	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი
15.	ბიზნეს ეთიკა	S.1.E.40	V	5	სავალდ.-არჩ.	------	ასოც. პროფ. გ. სიბაშვილი
16.	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	S.1.E.20	V	5	სავალდ.-არჩ.	მენეჯმენტი	მოწვ. პროფ. თ. ავბეწვაშვილი
17.	ტურიზმის მენეჯმენტი	S.1.E.24	V	5	სავალდ.-არჩ.	მენეჯმენტი	ასოც. პროფ. ნ. ხიზანიშვილი
18.	ფირმის მართვა	S.1.E.24	V	5	სავალდ.-არჩ.	მენეჯმენტი	მოწვ. პროფ. თ. ავბეწვაშვილი
19.	ანტიკრიზისული მართვა	S.1.E.15	VI	5	სავალდ.	მენეჯმენტი	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი

№	კურსის დასახელება	კოდი	სემესტრი	კრედიტების რაოდენობა	სტატუსი	პრერეკვი-ზიტები	ლექტორი
20	ადამიანური რესურსების მართვა	S.1.E.16	VI	5	სავალდ	მენეჯმენტი	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი
21.	მიკროეკონომიკა	S.1.E.21	VI	5	სავალდ.-არჩ.	ეკონომიკის პრინციპები	ასოც. პროფ. ნ. ხიზანიშვილი
22	მაკროეკონომიკა	S.1.E.22	VI	5	სავალდ.-არჩ.	ეკონომიკის პრინციპები	ასოც. პროფ. ნ. ხიზანიშვილი
23.	ეკონომიკსი	S.1.E.23	VI	5	სავალდ.-არჩ.	ეკონომიკის პრინციპები	ასოც. პროფ. ნ. ხიზანიშვილი
24	ბიზნეს ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	S.1.E.12	VII	5	სავალდ	მენეჯმენტი	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი
25	მართვა და ორგანიზაცია	S.1.E.13	VII	5	სავალდ	მენეჯმენტი	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი
26	კორპორაციის ფინანსების მენეჯმენტი	S.1.E.18	VII	5	სავალდ.-არჩ.	ფინანსების თეორია	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი
27	ფინანსური მენეჯმენტი	S.1.E.17	VII	5	სავალდ.-არჩ.	ფინანსების თეორია, მენეჯმენტი	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი
28	მართვა და ადმინისტრირება	S.1.E.14	VIII	5	სავალდ	მართვა და ორგანიზაცია	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი
29	**საბაკალავრო ნაშრომი**		VIII	**10**	სავალდ		